



პუბლიკა
dinamo

დინამო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

6 ოქტომბერი შაბათი 2012 №237 (13 843) ფასი 80 თეთრი



ლელა შვაჩიძე

10

მედიუმული
ზიზლირთა

ფაქტობრივად უკვე არსებობს საბარათების დასაყენებლად

საქალაქისიქო

ნაერა



იტალიაში მილანური დერბი,
საფრანგეთში - მარსელი-პსუ

8-9

7 ოქტომბერი
ამოცნა **N 222**
ზნისერლონს რას როვლოი
ერთმანეთს 222-ერა
ხვრეხისან.
საერთო ხვანოშიას 88-87
მარნირერლოთს
სასანოვებლორა.
ამოცნა გუყითხებს:
გასთანხმობს ზნისერლონს?



ფოტო: fcdinamo.ge


2

ლიღარაბი გაღიან



სინსაქაბ ოღანსა ჩაჭრა

12



ქართული ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. IX ტურის წინათქა

ეროვნული ჩემპიონატი

შიდრა შავისვანაბლაძე...

საარჩევნო ციბე-ცხელეა დასრულდა, თუმცა ჯერჯერობით არავინ იცის, ქვეყანაში ხელისუფლებაში შეცვლა ქართულ ფეხბურთზე თუ რა დონით იმოქმედებს...



გია გურული



სანდრო გურული

Match schedule for Round 9: FC Zestoni vs Dinamo (Tbilisi), Kobuleti vs Marani, Dilis vs Dinamo (Batumi), etc.

ორჯერ გამარჯვებს და სახიფათო ზონაც დატოვებს. აღსანიშნავია მწვრთნელების ფაქტორიც: გიორგი დარასელია და გია გურულიც თავის დროზე გამორჩეული ფეხბურთელებიც იყვნენ...

ოთხი ფეხბურთელია, „ტორპედოს“ ძირითადშიც ალარავის უკვირს 20-21 წლის ბიჭების გამოჩენა, „ვიტ ჯორჯიამ“ ბოლო ორი მატჩი ძლიერ მეტოქეებთან („ზესტაფონი“, „მეტალურგი“)

მერე დაბრუნებული გუნდი სრულიად დამსახურებულად იმყოფება ლიდერთა სამეულში. თუმცა, მეორეს მხრივ, საჩხერელთა ასეთი თამაში სენსაციად არ უნდა აღიქვას...

ლიდერობა

გარანტირებულია ეს მატჩი როგორი შედეგითაც არ უნდა დასრულდეს, თბილისის „დინამო“ ლიდერობას მანაც შეინარჩუნებს...

მოკრძალებული მიზნები

დღევანდელ მეორე მატჩში ის გუნდები ხვდებიან ერთმანეთს, ამ სეზონში მოკრძალებული მიზნები რომ უნდა ჰქონდეთ — კერძოდ, უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება...

ურთიერთშეხვედრები: 4 მატჩი, 2 მოგება, 1 ფრე, 1 ნაგება, ბურთების სხვაობა 4-2.

გაგაფვილება

აი, ტურის მთავარი ინტრიგაც: მასპინძლებმა ზედიზედ ოთხი (თანაც, რა მეტოქეებთან) მატჩის მოგებით ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტის სტატუსის გამართლება დაიწყეს...

„დილასა“ და ბათუმის „დინამოს“ ურთიერთდაპირისპირება 1990 წლიდან იღებს სათავეს; უკანასკნელად კი ეს გუნდები ერთმანეთს 2007-08 წლების სეზონში შეხვდნენ...

დაბოლოს, მთავარი ინტრიგაც: საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ისტორიაში, ალბათ, ერთი-ორი შემთხვევა თუ ყოფილა, შვილი... მამის წინააღმდეგ რომ გამოსულიყო მოედანზე...

ურთიერთშეხვედრები: 41 მატჩი, 7 მოგება, 11 ფრე, 23 ნაგება, ბურთების სხვაობა 24-65

უხარხარული მეტოქე

ქუთაისელთა ზეობის პერიოდში, როცა „ტორპედო“ ზედიზედ სამჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი, ყველაზე უხერხულ მეტოქედ სწორედ „ვიტ ჯორჯიამ“ მიიჩნეოდა!

ხვალისდღელ მეტოქეებს სხვა გუნდებისგან ახალგაზრდული შემადგენლობითაც გამოვარჩევთ: მასპინძელთა შორის ყველაზე „ასაკოვანი“ 24 წლის

ურთიერთშეხვედრები: 32 მატჩი, 7 მოგება, 14 ფრე, 11 ნაგება, ბურთების სხვაობა 25-32

საყვირო სინდრომი

„სიონმა“ ოთხი საშინაო მატჩი ჩაატარა და ოთხივეჯერ ფრედ ითამაშა! ძნელი სათქმელია, ხვალ შეძლებენ თუ არა ქვემოქართელები ამ ნაგის გატეხას...

ურთიერთშეხვედრები: 23 მატჩი, 4 მოგება, 6 ფრე, 13 ნაგება, ბურთების სხვაობა 9-28

ოსტატი და შვიდრი

ახალი სეზონის სასიამოვნო მოყოლოდნელობა, რალა თქმა უნდა, „ჩიხურას“ წარმატებული ასპარეზობა: უმაღლეს ლიგაში ხუთწლიანი პაუზის

გია ტუხაშვილი

Table with 7 columns: მატჩი, გუნდი, თ, ა, ფ, ნ, ბურთები, სხვაობა

ცხრილი შედგენილია gff.ge-ს მიხედვით


ტაიმ-აუტი ტელოსთან ერთად

მარცხული
ნივლითაჲ

საფეხურით ბურთაბის პოლუსია




1. 1930 წელს გამართულ მსოფლიო ჩემპიონატის ტურნირს ურუგვაი მასპინძლობდა, მე-19 საუკუნის მეორე მეთხედის დასაწყისში სწორედ ეს ბურთი წარადგინეს მსოფლიო ჩემპიონატზე. ტურნირის მასპინძელი ქვეყანა არგენტინის ეროვნულ ნაკრებს დაუპირისპირდა ფინალურ მატჩში. აქვე გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ამ ჩემპიონატზე მონაწილე 16 გუნდიდან მხოლოდ და მხოლოდ 13 მონაწილეობდა.




2. 1934 წლის მსოფლიო ჩემპიონატს იტალიამ უმასპინძლა. ბენიტო მუსოლინი გახლავთ პიროვნება, რომელიც ხელისუფლებაში მოღვაწეობდა, მისი შემოქმედებით ტურნირის მთავარი „გმირი“ ეს ახალი წარდგენილი ბურთი იყო.

3. საფრანგეთი. 1938 წელი. კიდევ ერთი მიუღებელი ფაქტი ამ შესანიშნავ ტურნირზე. 16 გამოძახებული ნაკრებიდან 15 ეროვნული ნაკრები ჩავიდა საფრანგეთში. სწორედ ამის შემდეგ 12 წლიანი პაუზა გაკეთდა ამ ტურნირზე მეორე მსოფლიო ომის გამო.



4. ბრაზილია. 1950 წელი. 12-წლიანი ჩაგდებული ტურნირი ბრაზილიაში დაბრუნდა ახალი ბურთით. ამ ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა ურუგვაის ეროვნული ნაკრები.



5. შვეიცარია 1954 წელი. უნგრეთის ეროვნული ნაკრების კარის ხაზი ამ ბურთმა 3-ჯერ გადაკვეთა, გერმანიის ნაკრებთან შეხვედრაში.

www.narin.ge
გაგრძელება იქნება

თარიღი

- 6-12 ოქტომბერი**
- 06. 1916 წ. დაიბადა ლეგენდარული ინგლისელი ფეხბურთელი ტომი ლოუტონი — გარდაიცვალა 1996 წელს.
 - 07. 1921 წ. დაიბადა რაიმონ გუტალსი — საფეხბურთო მწვრთნელი (ბელგია). გარდაიცვალა 2004 წელს.
 - 08. 1957 წ. დაიბადა ანტონიო კაბრინი — ფეხბურთი (იტალია).
 - 09. 1962 წ. დაიბადა ხორხე ლუის ბერუჩაგა — ფეხბურთი (არგენტინა).
 - 10. 1964 წ. ტოკიოში გაიხსნა ზაფხულის XVIII ოლიმპიური თამაშები.
 - 10. 1966 წ. დაიბადა ტონი ადამსი — ფეხბურთი (ინგლისი).
 - 11. 1937 წ. დაიბადა ბობი ჩარლტონი — ფეხბურთი (ინგლისი).
 - 12. 1926 წ. დაიბადა ნიკიტა ხრუშჩოვი — ფეხბურთი (სსრკ).
 - 12. 1968 წ. მეხიკოში გაიხსნა ზაფხულის XIX ოლიმპიური თამაშები.
 - 12. 1996 წ. 63 წლისა გარდაიცვალა ლეგენდარული უილტ ჩემპერლენი — კალათბურთი (აშშ).

ვიქტორინა

- რამდენი წლის იყო არგენტინელი ანტონიო ალბერტონდო, როცა პირველმა ლა მანშის სრულე ორივე მხარეს შეუსვენებლივ გადაცურა?
 ა — 14 წლის
 ბ — 26 წლის
 გ — 42 წლის
- პირველმა ქალთაგან პლანეტის უმაღლესი მწვერვალი ევერესტი ი. ტაბეიმ დალაშქრა 1939 წელს. სადაური იყო ეს მთამსვლელი?
 ა — ბერმანალი
 ბ — იაპონალი
 გ — კანადელი
- რომელი წლის ოლიმპიადაზე ჩამოართვეს კანადელ ბენ ჯონსონს 100 მ რბენაში მსოფლიოს რეკორდი ანაბელიკების მიღებაში მხილების გამო?
 ა — 1988 წელს
 ბ — 1992 წელს
 გ — 1996 წელს
- ფორმულა 1-ის რომელმა მრბოლელმა გამოიყენა პირველად შამპანური თავისი გამარჯვების აღსანიშნავად?
 ა — ლუიჯი ფაჯოლიო (იტალია)
 ბ — ჰიტერ შაიტცჰედმა (ბრიტანეთი)
 გ — ხუან მანუელ ფანსიო (არგენტინა)
- რას ნიშნავს სპორტული ტერმინი „ედუკატორი“?
 ა — მაღალი რანგის სპორტულ ჩიწონისკ
 ბ — მწვრთნელთა მწვრთნელს
 გ — მსაჯთა სწრაფი გადაამზადების ხელმძღვანელს.

სამძივარი

საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი და ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ვეტერანი „დინამოელის“, საქართველოს ხელბურთელთა პირველი თაობის ბრწყინვალე წარმომადგენლის **კობე ხატისკაცის** გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ლელოზა ხელმოწერითა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.
 დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74.
 კვირის გარდა.

ოლიმპიური მედალები



სეული, 1988



პირველი, პირველმა, პირველად...

- პირველი ვესტინდოლი, რომელმაც ინგლისის მორაგბეთა ეროვნულ ნაკრებ გუნდში ითამაშა, არის **დენოლ არმიითჯი**.
- პირველმა ბურთების გამოშვება დაიწყო ამერიკელმა მენარმემ **ალბერტ სპელდინგმა**.
- პირველად ოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატი მოტოკროსში ჩატარდა 1957 წელს (არაოფიციალური 1924 წელს), ევროპის — 1955 წელს (არაოფიციალური 1936 წელს).

სარიიდან: უსწაური სტადიონები

პორტუგალია, ბრაგა. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული სტადიონი პორტუგალიაში, მისი მშენებლობა დაახლოებით 122 მილიონი დოლარი დაჯდა. დაგეგმვისას მთელი, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი სტადიონი. აქ არ უფრთხილდებიან ბურთს, მთები არ არის დაცული, ფეხბურთელების დარტყმების უმეტესობას მეკარის მსგავსად მთებიც იგერიებს ხოლმე, ოღონდ მთები უნაკლოა ამ საქმეში.



სპორტი და ეკრანი

ოლიმპიადა

კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარია ოლიმპიური თამაშები, ძველიც და თანამედროვეც. „ო, სპორტო, შენ მშვიდობა ხარ!“. დანერა თანამედროვე ოლიმპიზმის ფუძემდებელმა ფრანგმა ბარონმა **პიერ დე კუბერტენმა** თავის ნაწარმოებში „ოდა სპორტზე“. ოლიმპიზმზე, ოლიმპიადებსა და უძველეს ქალაქ ოლიმპიაზე მრავალ ქვეყანაში ბევრი ფილმია გადაღებული. არც ჩვენი ქართველი კინემატოგრაფისტები ჩამორჩნენ სხვებს - არც ნაწარმოების ხარისხით, არც შთამბეჭდაობით. ფერად, ორნაწილიან ფილმში „ოლიმპია“ იმ ქალაქზეა მოთხრობილი, სადაც საფუძველი ჩაეყარა ოლიმპიურ თამაშებს. საქართველოს სატელევიზიო სტუდია, სცენარის ავტორი **გურამ პატარაია**, რეჟისორი **ჯემალ გაბუნია**. ოპერატორი **ირაკლი ონოფრიშვილი**. 1980 წელი.


ალექსანდრე ჭლანტი



საინტერესო ამბების აზვიდან

- ქვეყნები**, რომელთა წარმომადგენლებმაც ზამთრის ოლიმპიადებში მეტი მედალი მოიპოვეს, ვიდრე ზაფხულის თამაშებში, სულ სამია: ავსტრია, ლიხტენშტაინი და ნორვეგია.
- 1963 წელს მადრიდის „რეალის“ ბრწყინვალე მეკარე **ხულიო იგლესიასი** ავტოკატასტროფის შემდეგ ფეხბურთს სამუდამოდ ჩამოშორდა. მან ტრავმირებული ხელის გასაფარჯიმებლად გიტარაზე დაკვრა დაიწყო და რამდენიმე წელიწადში მსოფლიოს ესტრადის ვარსკვლავად მოეწვინა.
- ძველი ნელთადრიცხვის** 3000-2000 წლებში ჩინეთში გავრცელდა გოლფის მსგავსი თამაში.
- რაგბიში 2011 წლის მსოფლიო ჩემპიონის, ახალი ზელანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გრემ შენრი** პროფესიით პედაგოგია და საკმაოდ დიდხანს სკოლის მასწავლებლად მუშაობდა.
- 1915 წლის წინააღმდეგ, 1914 წლის 31 დეკემბერს ამერიკული საფეხბურთო გუნდი „ნიუ იორკ იანკიზი“ 460 დოლარად გაიყიდა.
- 1934 წლის 21 იანვარს გლაზგოს „რინჯერსის“ თავდამსხმელმა **ფლემინგმა** ფეხბურთში შოტლანდიის თასზე „ბლერიგორს“ 9 გოლი გაუტანა. მატჩი გლაზგოელებმა 15:2 მოიგეს.

www.narin.ge



ქართული სპორტი

ქართველი პერსონაჟი



სინსაქაო დენსა ჩაჭრა

სპორტის ჩემპიონატში მეორე მატჩი ჩაატარა გიორგი გინცაძის "ბუდიველინიკმა".

ზღვისპირა ქალაქ ოდესაში ამავე სახელწოდების გუნდთან თამაში მეტად მძიმე გამოდგა, რაშიც ის გულმემატიკურ რეზიცი დაგვეთანხმებიან, რომლებმაც შეხვედრას პირდაპირ ეთერში ინადევინეს თვალი (ამის საშუალება მისტერენტის მომხმარებლებს გვქონდა).

"ბუდიველინიკმა" შეხვედრა კარგად დაიწყო, თუმცა სტუმართა ყოველ გატყევას ოდესელები სათანადოდ პასუხობდნენ. გადაწყვეტ მომენტშიც კი, როცა კიეველები საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე 9 ქულით დაწინაურდნენ, "ოდესამ" სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა - 77:78. თუმცა ბოლო წუთზე მაინც "ბუდიველინიკის" კალათბურთელებმა იყოჩაღეს და, როგორც აღვნიშნეთ, მეორე მოგება გაიფორმეს.

მწვრთნელმა აინარს ბაგაცკისმა ბოლო წუთებზე გიორგი გინცაძე მოედანზე არ გამოიყვანა, თუმცა ქართველ გამომამებელს მატჩში მნიშვნელოვანი ფუნქცია ჰქონდა. მან პირველი პერიოდის ბოლოსა და მეორის დასაწყისში 7 ქულა ჩააგდო და "ბუდიველინიკი" 28:24 დააწინაურა. გიორგი მესამე ათწუთეულში და მეოთხის დასაწყისშიც მოედანზე იყო, თუმცა ამ მონაკვეთში ქულათა მონაგარი ვერ შეავსო.

გინცაძის საბოლოო სტატისტიკა ასეთი იყო: 17 წუთი, 7 ქულა (4-დან 2 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი, 4 მოხსნა, 4 ჩაჭრა.

ქართველი NBA-ში

საქართველოდან ამოსვლის იმედები

ზაზა ფაჩულია გამოფინას 7 ოქტომბერს იწყებს

კვირს, 7 ოქტომბერს საქართველოს ნაკრების კაპიტანი ზაზა ფაჩულია 2012-13 წლების სეზონში პირველ მატჩს ჩაატარებს. იგი "ატლანტა ჰოქსის" მისურით "მაიამი ჰიტს" დაუპირისპირდება. ეს "ქორეზისთვის" სეზონის გახსნითი შეხვედრა იქნება (ამერიკელები საკონტროლოებს საგამოფენო მატჩებს უწოდებენ). ოქტომბერში "ატლანტა" 7 ამხანაგურს ჩაატარებს და ნოემბრის დადგომასთან ერთად NBA-ს ახალ სეზონს დაიწყებს. ჯორჯიელთა პირველი ოფიციალური მატჩი 2 ნოემბერს ტექსასური "ჰიუსტონ როკეტსი" იქნება.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ზაზა ფაჩულია (1984 წელსაა დაბადებული) ამერიკულ საკალათბურთო ასოციაციაში 2003 წლიდან თამაშობს. იგი დრაფტზე "ორლანდო მეჯიქმა" აიყვანა, მომდევნო წელს "მილუოკი ბაქსში" გადავიდა, ხოლო 2005 წლიდან "ატლანტას" ლირსებას იცავს. 2005-06 წლების სეზონში "ჰოქსი" ახალგაზრდული გუნდი იყო, ნელ-ნელა გაიზარდა, კალათბურთელებმა გამოცდილება მიიღეს და 2008 წელს დიდი ხნის შესვენების შემდეგ პლეი ოფს დაუბრუნდნენ.

2012-13 წლების სეზონიდან "ატლანტაში" არაერთი ცვლილება განხორციელდა, რასაც ფორვარდი ჯომ სმიტი "სანახევროდ გადახალისებას" უწოდებს. "ჰოქსში" მიმდინარე მოვლენებს საინტერესო სტატია მიქლენა გამოცემა "ასოშიეტედ პრესში", სადაც ზაზა ფაჩულიას ნააზრევსაც შეხვედებით.

"გასული სეზონის შემდეგ "ატლანტაში" შეიცვალა გენერალური მენეჯერი. ამ პოსტზე დაინიშნა დენი ფერი, რომელმაც ტრანსფერებით არაერთი მილიონი გაერთავისუფლა. ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი ჯომ ჯონსონის "ბრუკლინში" გადასვლა იყო. ეს კალათბურთელი ბოლო 7 წლის განმავლობაში "ჰოქსის" ლიდერად ჩამოყალიბდა, ექვსჯერ ითამაშა "ოლ სტარში" და მორიგო ამერიკის ნაკრების მაისურა.

ჯონსონის გარდა გუნდი დატოვა მერვინ უილიამსმა. იგი დრაფტზე მე-2 ნომრად არჩეული კალათბურთელია, თუმცა თავისი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოავლინა. მერვინი "იუტა ჯაზში" გადავიდა. სანაცვლოდ "ჰოქსში" ჩაირიცხა გამომამებელი დევიდ პარისი.

როცა გუნდში ახალი გენერალური მენეჯერი მოვიდა, ცხადი გახდა, რომ განხორციელდებოდა არაერთი ცვლილება. ამის მომხრე ვარ. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პლეი ოფში კი გავდიოდით, მაგრამ მაინც ერთ ადგილას ვიდევით, თითქოს ცემენტში ჩავეფლეთ. არადა, გულშემატიკვარი ჩვენგან წინსვლას მოითხოვდა, - აცხადებს ჯომ სმიტი, რომელსაც ჯონსონის ნახვლის შემდეგ ლიდერის ფუნქცია დაეკისრება.

"ჰოქსში" შარშანდელი სეზონის შემდეგ დარჩნენ: ელ ჰორფორდი, ჯეფ ტიგი, ზაზა ფაჩულია და ივან ჯონსონი. გამოჩნდა არაერთი ახალი სახე: ლუ უილიამსი, ენტონი მოროუ, დეშუან სტივენსონი, ჩიკაგოელი სნაიპერი კაილ კორვერი და ჯონ ჯენკინსი (დრაფტზე პირველ წრეში აირჩიეს).

შემადგენლობას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ "ატლანტა" სწრაფი უკანახაზელებით და კომპლექტბული გუნდითა და თამაშსაც მაღალ ტემპში წარმართავს. წინა ხაზში კი უმეტესობა მძიმე ფორვარდია: ივან ჯონსონი, ენტონი ტოლივერი, მაიკ სკოტი.

ახალ სეზონში წარმატების მისაღწევად უეცრილებია ერთმანეთს აქტიურად დავეხმაროთ. შედეგი ხომ გუნდურ თამაშს მოაქვს, - ამბობს ზაზა ფაჩულია.

ამ სტატისტიკაზე ჩანს, რომ "ჰოქსში" სერიოზული ცვლილებები განხორციელდა. წინასწარ ძნელი სათქმელია, რა შედეგს გამოიღებს რეფორმები, თუმცა ერთი უნდა აღვნიშნოთ - ზაზა ფაჩულიას ცენტრის პოზიციაზე ახალგაზრდულთა შორის გამოცდილი კონკურენტი არ ჰყავს. მაგრამ არ არის გამორიცხული, მწვრთნელი, ლარი დრიუ სასტარტო ცენტრად ელ ჰორფორდს დაეყრდნოს. არადა, ელი ნომინალურად მძიმე ფორვარდია. დანარჩენს უახლოესი მატჩები გამოაშკარავებს.

ატლანტა კალენდარი 2012-2013

Table with 2 columns: Date and Opponent. Lists games from 7 October to 7 November.



- 8 დეკემბერი
10 დეკემბერი
12 დეკემბერი
13 დეკემბერი
15 დეკემბერი
18 დეკემბერი
19 დეკემბერი
21 დეკემბერი
22 დეკემბერი
26 დეკემბერი
28 დეკემბერი
29 დეკემბერი
31 დეკემბერი
1 იანვარი
4 იანვარი
5 იანვარი
8 იანვარი
9 იანვარი
11 იანვარი
12 იანვარი
14 იანვარი
16 იანვარი
18 იანვარი
19 იანვარი
21 იანვარი
23 იანვარი
25 იანვარი
27 იანვარი
30 იანვარი
2 თებერვალი
5 თებერვალი
6 თებერვალი
8 თებერვალი
11 თებერვალი
13 თებერვალი
20 თებერვალი
22 თებერვალი
23 თებერვალი
25 თებერვალი
27 თებერვალი
1 მარტი
3 მარტი
4 მარტი
6 მარტი
8 მარტი
9 მარტი
12 მარტი
13 მარტი
15 მარტი
17 მარტი
18 მარტი
20 მარტი
22 მარტი
24 მარტი
25 მარტი
27 მარტი
29 მარტი
30 მარტი
1 აპრილი
3 აპრილი
5 აპრილი
6 აპრილი
10 აპრილი
12 აპრილი
16 აპრილი
17 აპრილი

- მეფისი-ატლანტა
მაიამი-ატლანტა
ორლანდო-ატლანტა
ატლანტა-შარლოტი
ატლანტა-გოლდენ სტიმტი
ვაშინგტონი-ატლანტა
ატლანტა-ოკლაჰომა
ფილადელფია-ატლანტა
ატლანტა-ჩიკაგო
ატლანტა-დეტროიტი
კლივლენდი-ატლანტა
ატლანტა-ინდიანა
ჰიუსტონი-ატლანტა
ნიუ ორლეანი-ატლანტა
დეტროიტი-ატლანტა
ატლანტა-პოსტონი
მინესოტა-ატლანტა
კლივლენდი-ატლანტა
ატლანტა-იუტა
ვაშინგტონი-ატლანტა
ჩიკაგო-ატლანტა
ატლანტა-პრუსტონი
პრუსტონი-ატლანტა
ატლანტა-სან ანტონიო
ატლანტა-მინესოტა
შარლოტი-ატლანტა
ატლანტა-პოსტონი
ნიუ იორკი-ატლანტა
ატლანტა-ტორონტო
ატლანტა-ჩიკაგო
ინდიანა-ატლანტა
ატლანტა-მეფისი
ატლანტა-ნიუ ორლეანი
დალასი-ატლანტა
ორლანდო-ატლანტა
ატლანტა-მაიამი
ატლანტა-საარამენტო
მილუოკი-ატლანტა
დეტროიტი-ატლანტა
იუტა-ატლანტა
ფინიქსი-ატლანტა
ლიუიზიანი-ატლანტა
დენვერი-ატლანტა
ატლანტა-ფილადელფია
პოსტონი-ატლანტა
ატლანტა-პრუსტონი
მაიამი-ატლანტა
ატლანტა-ლიუიზიანი
ატლანტა-ფინიქსი
პრუსტონი-ატლანტა
ატლანტა-დალასი
ატლანტა-მილუოკი
ატლანტა-პორტლენდი
მილუოკი-ატლანტა
ინდიანა-ატლანტა
ტორონტო-ატლანტა
პოსტონი-ატლანტა
ატლანტა-ორლანდო
ატლანტა-კლივლენდი
ატლანტა-ნიუ იორკი
ატლანტა-ფილადელფია
სან ანტონიო-ატლანტა
ფილადელფია-ატლანტა
ატლანტა-მილუოკი
ატლანტა-ტორონტო
ნიუ იორკი-ატლანტა



გვერდიმობაზე ვაჟა სიმონიშვილი

როგორღე

ფაქტები თაჲი მოქვეთას...

ჲარ მხოლოდ ვირტუალურად


მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი როჯერ ფედერერი შანხაიში გაძლიერებული დაცვის ქვეშ იქნება. როჯერი ამ ქალაქში 7-14 ოქტომბერს, მასტერსის სერიის ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

უსაფრთხოების ამგვარი ზომების მიღების მიზეზი გახდა უცნობი ბლოგერის მუქარა შვეიცარიელი ჩოგბურთელის მოკვლის შესახებ.

“ნოქტომბერს ვაპირებ მოვკლა ფედერერი, რათა გაეანადგურო ჩოგბურთი”, - პოპულარულ ჩინურ ვებგვერდ baidu.com-ზე დაწერა მომხმარებელმა Blue Cat Polytheistic Religion Founder 07-ის ნიკით.

გარდა ამისა, მუქარის ავტორმა თავის შეტყობინებას თან დაურთო ფოტომონტაჲი, რომელზეც როჯერი კორტზე თავმოკვეთილია დამზობილი მუხლებზე და თავზე შავებში გამოწყობილი ჯალათი ადგას ნაჯახით ხელში.

ამის შემდეგ, ფედერერის მისამართით მუქარა უფრო გახშირდა, რის გამოც შანხაის მასტერსის ორგანიზატორებმა პოლიციას მიმართეს, აგრეთვე ჩოგბურთელისა და მისი ოჯახის წევრთა დაცვის გაძლიერება გადანყვიტეს.



“ჩვენ ვაგრძელებთ ამ საქმის გამოძიებას. ფედერერი უკვე ჩამოფრინდა შანხაიში და გავაძლიერებთ უსაფრთხოების ზომებს. იმედია, ეს მხოლოდ ვერბალური მუქარებია, რასაც სერიოზული არაფერი მოჰყვება. მაგრამ წინასწარ ამის შესახებ არაფერი ვიცით, ამიტომაც უნდა დავიცვათ სპორტსმენი და მისი ოჯახი.

ასევე მივიღეთ გადაწყვეტილება, არ გავუშვათ გულშემატკივრები სტადიონიდან მატჩების დასრულებისთანავე და ვთხოვთ მათ გაგებით მოეკიდონ იმას, თუ ჩოგბურთელები უარს იტყვიან თამაშის შემდეგ ავტოგრაფებზე”, - აღნიშნავს შანხაის მასტერსის პრესატაჲე.

საგაბოლი დაკოვანება

სრულად დაკომპლექტდა 2012 წლის სეზონში ქალთა პროფესიული ტურის შემაჯამებელი ჩემპიონატის შემადგენლობა. ეს ტურნირი 23-28 ოქტომბერს თურქეთის ქალაქ სტამბოლში გაიმართება.

ბოლო ვაკანტური საგაბოლი მფლობელი გახდა ჩინელი ნა ლი. მან გუშინ, პეკინის “პრემიერ” კატეგორიის ტურნირზე მეოთხედფინალში დაამარცხა აგნიეშკა რადვანსკა და WTA-ის “ჩემპიონთა რბოლაში” მიულენველი გახდა კონკურენტებისთვის.

მას ასე, ქალთა წლის შემაჯამებელი ტურნირის საბოლოო შემადგენლობა ასე გამოიყურება: ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი), მარია შარაპოვა (რუსეთი), აგნიეშკა რადვანსკა (პოლონეთი), სერენა უილიამსი (აშშ), პეტრა კვიტოვა (ჩეხეთი), ანჟელიკ კერბერი (გერმანია), სარა ერანი (იტალია) და ნა ლი (ჩინეთი).

“ბოლო ორი წლის განმავლობაში კარიერაში საუკეთესო ჩოგბურთს ვაჩვენებ და მოხარული ვარ, რომ ისევე მოვახერხებ სტამბოლში თამაშს”, - განაცხადა რადვანსკასთან მატჩის შემდეგ ნა ლიმ.

ჩინელმა გუშინ, ორ სეტში იოლად მოუგო რადვანსკას - 6:4, 6:2. დღეს, მისი

მეტოქე ნახევარფინალში რუსი მარია შარაპოვა იქნება, რომელიც 6:0, 3:0-ს უგებდა გერმანელ ანჟელიკ კერბერს, როცა ამ უკანასკნელმა ტრავმის გამო მიატოვა თამაში.

მეორე ნახევარფინალში წყვილი შეადგინეს - ვიქტორია აზარენკამ (6:2, 6:0) გაანადგურა რომინა ოპრანდი და მარიონ ბარტოლიმ, რომელმაც სამ სეტში მოუგო პეტრა კვიტოვასა და ელენა იანკოვიჩის მძლველ კარლა სუარეს ნავაროს - 6:0, 2:6, 6:4.

გვერდი მოაგზავნა გია თჲალაპიჲვილა



ფორტუნა Fortuna

აიღეთ ფორტუნა ბახათი!

ბახით იღბიანი 77-ე და

თქვენ ფორტუნა ანბახიშვა

ჩაბახიშხებათ

77 დახი!

ბაიბათ მახი: fortuna.emoney.ge



შეხვეთ თქვენი ბაღანსი ოღანი სათაგამო ჰოხბანება და გაოიბანათ თანხა ბახიშვა!

დახევისხიხით უფასო ან ბილეთ ფორტუნა ბახათი ღიბახით ბანაის ფიციანებაი ღუნჲე!



fortunacard.ge

fortuna.emoney.ge

255 55 00

დაფუძნებულია ბაგოცაბილი შჲს ბაგოცაბოლა ლალი
ISSN 2233-3827
ბაგოცაბა ყოველღე, ბარდაპირისა
772233382000

მთავარი რედაქტორი თანგიზ ბაჩიჩილაჲ

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჲა სიმონიშვილი
ტექნიკური ჲგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჲაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჲა სიმონიშვილი
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბახილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
ბალიტრა მიღიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: loloitd@gmail.com; lolo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40
მისამართი: იოსებძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთავანებალად გაზეთის კუთვნილი პასაჲაგისა და ფოტოჲაგის სხვა გაჲფვით და ელექტრონულ საგუალებაჲო ბაგოცაბევა აპრკალუნია
საბანკო რეკვიზიტები: შჲს „ბაგოცაბელოლა ლელი“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 აჲა GE19CR0120007000043608